სახელმწიფო ვალი

სახელმწიფო საგარეო ვალის ნაშთი 2014 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით შეადგენს 4,065.96 მილიონ აშშ დოლარს, რაც მთლიანი სახელმწიფო ვალის 74%-ია. აღნიშნული საკრედიტო რესურსის დიდი ნაწილი მიღებულია მრავალმხრივი და ორმხრივი დონორებისგან/პარტნიორებისგან ქვეყნისათვის პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად. სახელმწიფო საგარეო ვალის პორტფელი შეღავათიანია და ძირითადად შედგება გრძელვადიანი სესხებისგან - პორტფელის საკონტრაქტო შეწონილი ვადიანობა შეადგენს 22.6 წელს, საშუალო შეწონილი დარჩენილი ვადიანობა შეადგენს დაახლოებით 10.7 წელს, ხოლო სახელმწიფო საგარეო ვალის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 1.96%-ს.

სახელმწიფო ვალის სტრუქტურა 2014 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით



სახელმწიფო საგარეო ვალის პორტფელის 74% შედგება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე კრედიტებისგან. ეს გარემოება ხელს უწყობს საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის მომსახურების პარამეტრების დაცულობას საპროცენტო განაკვეთების ეგზოგენური რყევებისგან და უზრუნველყოფს ვალის მომსახურების ხარჯების შენარჩუნებას დაბალ დონეზე. სახელმწიფო საგარეო ვალის 47% SDR-შია დენომინირებული (ნასესხობის სპეციალური უფლება) მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის და აზიის განვითარების ბანკის ფინანსური რესურსების დიდი წილის გამო.

საპროცენტო განაკვეთის ტიპი



სავალუტო სტრუქტურა



სახელმწიფო საგარეო ვალის სტრუქტურა

2014 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით

კრედიტორი	კრედიტის ვალუტა	ნაშთი (ათასი)			საპროცენტო განაკვეთი	შეწონილი საპროცენტო განაკვეთი
		კრედიტის ვალუტაში	აშშ დოლარში	ლარში		
სახელმწიფო საგარეო ვალი			*4,065,956*	*7,133,314*		
მრავალმხრივი კრედიტორები			**2,797,417**	**4,907,788**		
განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (WB - IDA)	SDR	731,031	1,080,704	1,895,988	0.75%	0.199%
		149,858	221,539	388,668	2.00%	0.109%
		6,846	10,121	17,756	2.15%	0.005%
რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (WB - IBRD)	USD	215,296	215,296	377,716	0.43%	0.023%
		58,000	58,000	101,755	0.63%	0.009%
		10,000	10,000	17,544	0.82%	0.002%
		198,481	198,481	348,215	0.83%	0.041%
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)	SDR	13,489	19,940	34,984	0.75%	0.004%
		6,377	9,427	16,540	0.56%	0.001%
IMF PRGF	SDR	29,400	43,463	76,251	0.50%	0.005%
IMF SBA	SDR	88,988	131,553	230,796	1.04%	0.034%
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	EUR	80,375	101,234	177,605	1.18%	0.029%
აზიის განვითარების ბანკი (ADB)	SDR	199,107	294,346	516,400	1.50%	0.109%
		19,162	28,328	49,698	1.60%	0.011%
		46,879	69,303	121,585	1.00%	0.017%
	USD	91,667	91,667	160,820	0.48%	0.011%
		22,808	22,808	40,014	0.78%	0.004%
		54	54	95	0.78%	0.000%
ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	EUR	88,766	111,803	196,147	0.93%	0.026%
	EUR	40,000	50,381	88,388	1.00%	0.012%
	EUR	23,000	28,969	50,823	1.08%	0.008%
ორმხრივი კრედიტორები			**765,835**	**1,343,581**		
ავსტრია	EUR	10,930	13,767	24,152	1.00%	0.003%
აზერბაიჯანი	USD	11,611	11,611	20,370	3.00%	0.009%
თურქმენეთი	USD	211	211	370	4.00%	0.000%
თურქეთი	USD	22,198	22,198	38,944	3.00%	0.016%
ირანი	USD	9,063	9,063	15,899	3.00%	0.007%
რუსეთი	USD	95,298	95,298	167,192	4.00%	0.094%
სომხეთი	USD	13,741	13,741	24,107	3.00%	0.010%
უზბეკეთი	USD	282	282	494	3.00%	0.000%
უკრაინა	USD	257	257	451	3.00%	0.000%
ყაზახეთი	USD	27,774	27,774	48,727	4.00%	0.027%
ჩინეთი	CNY	24,000	3,925	6,886	0.00%	0.000%
გერმანია (KfW)	EUR	45,596	57,430	100,754	2.00%	0.028%
		71,591	90,170	158,195	6.06%	0.134%
		1,538	1,937	3,398	4.20%	0.002%
		131,423	165,529	290,405	0.75%	0.031%
იაპონია	JPY	3,508,056	32,183	56,462	2.30%	0.018%
		1,584,829	14,539	25,508	0.01%	0.000%
		9,534,419	87,469	153,456	0.65%	0.014%
		264,515	2,427	4,257	1.30%	0.001%
კუვეიტი	KWD	5,584	19,296	33,854	3.00%	0.014%
ნიდერლანდები	EUR	192	242	424	4.20%	0.000%
		1,172	1,476	2,590	5.10%	0.002%
აშშ	USD	7,644	7,644	13,410	2.25%	0.004%
		574	574	1,008	1.50%	0.000%
		10,720	10,720	18,807	2.50%	0.007%
		10,804	10,804	18,955	2.00%	0.005%
საფრანგეთი	EUR	19,973	25,157	44,135	1.10%	0.007%
		31,846	40,111	70,370	1.98%	0.020%
ფასიანი ქაღალდები		-	**500,000**	**877,200**		
ევროობლიგაცია 2021	USD	500,000	500,000	877,200	6.875%	0.845%
გარანტირებული კრედიტები		-	**2,705**	**4,745**		
გერმანია (KfW)	EUR	2,147	2,705	4,745	0.75%	0.000%
					საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი	**1.96%**

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და უცხო ქვეყნების მთავრობების მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი გრძელვადიანი საინვესტიციო კრედიტების ათვისებას 690,000.0 ათასი ლარის ოდენობით. ასევე მსოფლიო ბანკის „განვითარების პოლიტიკის ღონისძიების“ ფარგლებში გათვალისწინებულია 180,000.0 ათასი ლარი, აზიის განვითარების ბანკის „შიდა რესურსების მობილიზაციის გაუმჯობესება ინკლუზიური ზრდის პროგრამისათვის“ ფარგლებში 90,000.0 ათასი ლარი და ევროკავშირის მაკროეკონომიკური დახმარება 50,000.0 ათასი ლარი. დაგეგმილი თანხების ათვისების შემთხვევაში შენარჩუნებული იქნება სახელმწიფო საგარეო ვალის პარამეტრების მდგრადობა.

სახელმწიფო საგარეო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულია 560,624 ათასი ლარი, საიდანაც 354,857 ათასი ლარი წარმოადგენს ძირითადი თანხის დაფარვას, ხოლო 205,767 ათასი ლარი - პროცენტის თანხას:

სახელმწიფო საგარეო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა 2015 წლისათვის (პროგნოზი)

ათასი ლარი

კრედიტორები	ვალების დაფარვა	პროცენტი	სულ 2015
	354,857	**205,767**	**560,624**
ავსტრია	-	285	285
კუვეიტი	3,944	1,084	5,028
იაპონია	7,952	4,397	12,349
გერმანია	37,914	17,773	55,687
აშშ	2,881	1,160	4,041
სომხეთი	1,899	725	2,624
აზერბაიჯანი	1,472	611	2,083
ირანი	1,175	475	1,650
ყაზახეთი	7,915	16,837	24,752
ნიდერლანდები	324	166	490
რუსეთი	12,795	6,729	19,524
თურქეთი	2,795	1,266	4,061
თურქმენეთი	-	15,795	15,795
უკრაინა	44	13	57
უზბეკეთი	48	14	62
საფრანგეთი	15,917	2,682	18,599
ჩინეთი	972	-	972
IDA	89,799	25,099	114,898
IBRD	19,753	12,416	32,169
IFAD	1,220	512	1,732
EBRD	20,500	4,917	25,417
EIB	4,482	14,041	18,523
ADB	15,000	14,068	29,068
IMF	106,056	2,827	108,883
ევრობონდები	-	61,875	61,875

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ახორციელებს 12 თვიანი სახაზინო ვალდებულებების და 2 წლიანი, 5 წლიანი და 10 წლიანი სახაზინო ობლიგაციების ემისიას. 2014 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით სახაზინო ვალდებულებების და ობლიგაციების ბოლო აუქციონებზე დაფიქსირებულმა საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთებმა (კუპონის და დისკონტის განაკვეთები) შეადგინა: 12 თვიანზე 5.8%, 2 წლიანზე - 6.9%, 5 წლიანზე - 9.0%, 10 წლიანზე - 11.1%.

სახელმწიფო საშინაო ვალი ფორმირებულია სხვადასხვა ტიპის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით, რომელთა ნაშთი 2014 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით შეადგენს 1,835.4 მილიონ ლარს (1,857.4 მლნ ლარი ნომინალური ღირებულებით), აქედან 1,253.6 მილიონი ლარი წარმოადგენს ნაშთს სახაზინო ვალდებულებების და ობლიგაციების ნაწილში, ხოლო 581.8 მილიონი ლარი - „სახელმწიფო ობლიგაციები სებ-სთვის და ღია ბაზრის ოპერაციებისათვის“ ნაწილში.

შენიშვნა: სახელმწიფო საშინაო ვალის ნაშთი არ მოიცავს ე.წ. "ისტორიულ ვალს". "ისტორიული ვალის“ მოცულობა საორიენტაციოა, ვინაიდან ამ კატეგორიის უმეტესი ნაწილი დასაზუსტებელია

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების დაუფარავი მოცულობა ნომინალური ღირებულებით ვადის და ტიპის მიხედვით 2014 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით

ათასი ლარი

სულ	**1,857,356**
სახაზინო ფასიანი ქაღალდები	**1,275,510**
12 თვის ვადიანობის სახაზინო ვალდებულებები	384,200
2 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები	406,286
5 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები	380,024
10 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები	105,000
სხვა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები	**581,846**
სახელმწიფო ობლიგაცია სებ-სთვის	440,846
სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისთვის	141,000

2015 წლის ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს საშინაო ვალდებულებების კლებას 532,100 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების ძირითადი თანხის დაფარვას - 497,100 ათასი ლარის ოდენობით და სახელმწიფო ობლიგაციების ძირითადი თანხის დაფარვას (სებ-ის მიმართ ვალი) - 35,000 ათასი ლარის ოდენობით, საქართველოს მთავრობის და საქართველოს ეროვნული ბანკის 2006 წლის 15 მაისის „საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ“ 2006 წლის 20 მარტის შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ შეთანხმების შესაბამისად. 2015 წლის განმავლობაში სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების შედეგად საშინაო ვალდებულებების დაგეგმილი ზრდა შეადგენს 1,097,100 ათას ლარს. შესაბამისად, სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების შედეგად საშინაო ვალდებულებების ცვლილება განისაზღვრება არა უმეტეს 600,000.0 ათასი ლარის წმინდა ზრდით. აქედან არა უმეტეს 200 000.0 ათასი ლარი

გამოყენებული იქნება ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის ხელშეწყობის მექანიზმისთვის. შედეგად, კომერციულ ბანკებს გაუჩნდებათ გრძელვადიანი ფინანსური რესურსი ეკონომიკის დაკრედიტებისათვის.

2015 წლის ბოლოსთვის სახელმწიფო ვალის ზღვრული მოცულობა საპროგნოზო ნომინალურ მშპ-თან მიმართებაში შეადგენს დაახლოებით 37.1%, აქედან სახელმწიფო საგარეო ვალი დაახლოებით 27.3%, ხოლო სახელმწიფო საშინაო ვალი დაახლოებით 9.8%.

სახელმწიფო ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა 2015 წლის ბოლოსთვის

ათასი ლარი

	კრედიტორი	საპროგნოზო ნაშთი 31.12.2015 ათას ლარებში
	სულ სახელმწიფოს მიერ და სახელმწიფოს გარანტიით აღებული საგარეო კრედიტების ზღვრული მოცულობა	**8,690,920**
	მრავალმხრივი კრედიტორებისაგან	**6,179,081**
1	მსოფლიო ბანკი (WB)	3,711,656
2	სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)	60,995
3	საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	223,200
4	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	177,196
5	აზიის განვითარების ბანკი (ADB)	1,346,161
6	ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	609,872
7	ევროკავშირი (EU)	50,000
	ორმხრივი კრედიტორებისაგან	1,567,989
1	ავსტრია	26,560
2	აზერბაიჯანი	19,250
3	თურქმენეთი	380
4	თურქეთი	36,847
5	ირანი	14,961
6	რუსეთი	156,281
7	სომხეთი	22,405
8	უზბეკეთი	436
9	უკრაინა	399
10	ყაზახეთი	49,993
11	ჩინეთი	6,048
12	გერმანია	602,356
13	იაპონია	427,407
14	კუვეიტი	31,735
15	ნიდერლანდები	2,890
16	ამერიკა	49,208
17	საფრანგეთი	120,833
	სხვა საგარეო ვალდებულებები	**900,000**
1	ევრობონდები	900,000
	სახელმწიფოს გარანტიით აღებული კრედიტები	**4,790**
1	გერმანია	4,790
	საერთაშორისო სავალუტო ფონდი (ეროვნული ბანკი)	**39,060**
	საშინაო ვალის ზღვრული მოცულობა	**3,117,711**
1	ეროვნული ბანკისთვის განკუთვნილი ერთწლიანი ყოველწლიურად განახლებადი სახელმწიფო ობლიგაცია	400,846
2	სხვადასხვა ვადის სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისთვის	137,000
3	ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები	392,520
4	ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები	1,515,020
5	ისტორიული ვალი	672,325
	სულ სახელმწიფო ვალის ზღვრული მოცულობა	**11,808,631**

შენიშვნა: კურსი - 1 აშშ დოლარი=1.80 ლარი;